

2016/2017



დებულება





თავი I ზოგადი დებულებები

წინამდებარე დებულება ვრცელდება 2016-2017 წლის 16 წლამდელთა ჩემპიონატზე კალათბურთში

მუხლი 1. ჩემპიონატის ჩატარების უფლება

ჩემპიონატის ჩატარების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში “ს.კ.ე.ფ”).

მუხლი 2. თამაშების ჩატარების წესები

ჩემპიონატი ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების” და წინამდებარე დებულების შესაბამისად. ჩემპიონატის ყველა მონაწილე ვალდებულია გაეცნოს და შეასრულოს “კალათბურთის ოფიციალური წესების” და წინამდებარე დებულების მოთხოვნები.

მუხლი 3. ჩემპიონატის ორგანიზების და ჩატარების ხელმძღვანელობა

ჩემპიონატის ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს “ს.კ.ე.ფ” საშეჯიბრო დეპარტამენტის მეშვეობით.

თავი II ჩემპიონატის ჩატარების მიზნები

მუხლი 4. ჩემპიონატის ჩატარების მიზნები და ამოცანები

- საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება მიზნად ისახავს;
- საქართველოში კალათბურთის შემდგომ პოპულარიზაციას და განვითარებას;
- მოზარდ კალათბურთელთა ოსტატობის დონის ამაღლებას;
- 16-წლამდელთა ნაკრები გუნდისთვის კანდიდატთა შერჩევას;
- უძლიერესი გუნდების გამოვლენას;

თავი III ჩემპიონატებში გუნდების დაშვების წესი

მუხლი 5. დაშვების პირობები

5.1. გუნდები ჩემპიონატში დაიშვებიან 2015-2016 წლის საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატის შედეგების მიხედვით. ასევე 2016 წლის თბილისის ჩემპიონატის საუკეთესო 8 გუნდი. წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესრულების პირობით და საშეჯიბრო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით.

ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად თითოეული გუნდი ვალდებულია:

- 5.2. 2016 წლის 1 დეკემბრამდე დაადასტუროს ჩემპიონატში მონაწილეობა.
- 5.3. წარმოადგინოს ელექტრონული განაცხადი დადგენილი ფორმით 9 დეკემბრამდე
- 5.4. გუნდს უფლება აქვს განაცხადში შეიყვანოს და მიიღოს ლიცენზია არა უმეტეს 16 (თექვსმეტი) მოთამაშესა და 6 (ექვს) ოფიციალურ პირზე.
- 5.5. 2016-2017 წლების ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ 2001-2002 წლებში დაბადებული კალათბურთელები.
- 5.6. თითოეულ გუნდს 16-კაციან განაცხადში შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ 6 კალათბურთელი ქვედა ასაკობრივი ჯგუფიდან (იგულისხმება 2003 წლიანი 4 მოთამაშე და 2004 წლიანი – 2 მოთამაშე).
- 5.7. თითოეულ გუნდს თამაშის განაცხადში შეუძლია შეიყვანოს მხოლოდ თავისი ასაკობრივი გუნდებიდან არა უმეტეს 4 (ოთხი) მოთამაშისა. დასაშვებია მათი შეცვლა სხვა მოთამაშეებით ნებისმიერ თამაშზე.
- 5.8. გუნდის განაცხადში შეყვანილ ასაკობრივი კატეგორიის მოთამაშეს (14 წლამდელს,) უფლება აქვს ერთდროულად ითამაშოს საქართველოს 14 წლამდელთა ჩემპიონატებში მხოლოდ თავისი კლუბის შესაბამის ასაკობრივი კატეგორიის გუნდში. თუკი გუნდი ვერ მოხვდება საქართველოს ჩემპიონატში და ასპარეზობას აგრძელებს სხვა ტურნირში ან ღონისიებაში, მას აქვს უფლება, თავისი კლუბის ვერტიკალში 2 კალათბურთელი ათამაშოს საქართველოს ჩემპიონატში.
- 5.9. გუნდმა მატჩის კომისარს უნდა წარუდგინოს როგორც 16-წლამდელთა გუნდის მოთამაშეთა ლიცენზიები, ასევე ქვედა ასაკობრივი კატეგორიების გუნდის იმ მოთამაშეთა ლიცენზიები, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას მატჩში.
- 5.10. გუნდი ვალდებულია წარმოადგინოს მოთამაშის დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი.
- 5.11. თუ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ნაკრების შეკრებაზე ის ჩემპიონატის თამაშებზე იქნება დისკვალიფიცირებული.
- 5.12. მოთამაშის ჯანმრთელობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება გუნდის ხელმძღვანელობას.
- 5.13. გუნდს თამაშზე აუცილებლად უნდა ჰქონდეს ორი სათამაშო ბურთი.

- 5.14. გუნდი ვალდებულია შემოიტანოს სამონაწილეო თანხა 1180 ლარი 2016 წლის 12 დეკემბრამდე.
5.15. ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ანგარიშსწორება უნდა მოხდეს “ს.კ.ე.ფ.”-ს საბანკო ანგარიშზე.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის რეკვიზიტები:

საფოსტო: 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49ა.
საბანკო: „სს თიბისი ბანკი“ ანგ.№ GE71TB3963436080100005
ბანკის კოდი: TBCBGE22 ს/კ 204851838
ტელეფონი: 223 53 84
ფაქსი: 229 28 90
ელ. ფოსტა: basket@gol.ge

მუხლი 6. მოთამაშეთა დამატება განაცხადში

- 6.1. მოთამაშეთა გადასვლები გუნდიდან გუნდში, დადგენილი 16 კაციანი ლიმიტის ფარგლებში, შეიძლება განხორციელდეს 2017 წლის 27 თებერვლიდან, 2017 წლის 20 მარტამდე.
6.2. გუნდმა შეიძლება დაიმატოს ამ ჩემპიონატში არალიცენზირებული მოთამაშე პლეიოფის დაწყებამდე.
6.3. გუნდზე გაცემული მოთამაშის ლიცენზია, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მოთამაშემ მონაწილეობა ჩემპიონატის მატჩში, გუნდს ეთვლება ლიმიტში. მის ნაცვლად დამატებითი ლიცენზია არ გაიცემა.

თავი IV მოთხოვნები ჩემპიონატების მონაწილეთა მიმართ

მუხლი 7. მოთამაშეები

- 7.1. ჩემპიონატებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ გუნდის განაცხადში შეტანილ მოთამაშეებს;
7.2. სათამაშო ფორმა უნდა შეესაბამებოდეს “კალათბურთის ოფიციალური წესების” მოთხოვნებს
7.3. მოთამაშეთა მათსურებზე დასაშვებია ნომრები 00, 0-დან 99-ამდე, ხოლო გვარი ქართული შრიფტით (უცხო ენაზე – “ს.კ.ე.ფ.”-თან შეთანხმების შემთხვევაში)
7.4. მოთამაშის პირადი ნომრის შეცვლა სეზონის ბოლომდე დაუშვებელია;
7.5. გუნდმა უნდა წარმოადგინოს გუნდური, ასევე თითოეული მოთამაშისა და მწვრთნელის ინდივიდუალური ფოტოები ციფრულ ვარიანტში.

მუხლი 8. მწვრთნელები, გუნდის თანმხლები პირები

- 8.1. თამაშის მსვლელობისას გუნდის სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის უფლება აქვთ თამაშის ოქმში შეყვანილ მოთამაშეებს (12(თორმეტი) მოთამაშეს), მწვრთნელთა შტაბის 3(სამი) და მედპერსონალის 3(სამი) წარმომადგენლებს.
8.2. სეზონის განმავლობაში მწვრთნელი ერთდროულად შეიძლება იყოს შეყვანილი მხოლოდ ერთი გუნდის განაცხადში.

მუხლი 9. მსაჯები და მსაჯები მაგიდასთან

- 9.1. ჩემპიონატის თითოეულ თამაშს ემსახურება 2(ორი) ან 3(სამი) მსაჯი, და მაგიდასთან მსაჯების ჯგუფი (მდივანი, ანგარიშდამთვლელი, დროის ოპერატორი, სტატისტიკოსი, 24 წამის ოპერატორი და მსაჯი-ინფორმატორი).

თავი V ჩემპიონატის ჩატარების დრო და სისტემა

მუხლი 10. ჩემპიონატების ჩატარების დრო

- 10.1. საქართველოს 2016-2017 წლის ჩემპიონატი 16-წლამდელთა შორის დაიწყება 2016 წლის 9 დეკემბერს და დამთავრდება 2017 წლის 1 ივნისს, თანახმად “ს.კ.ე.ფ.”-ს მიერ დამტკიცებული კალენდრისა.
10.2. თამაშები ჩატარდება ქალაქ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ბათუმის და ფოთის სპორტდარბაზებში, რომლებიც შერჩეულ იქნება “ს.კ.ე.ფ.”-ს გადაწყვეტილებით.
10.3. თუ დაშვებული გუნდებიდან რომელიმე განაცხადებს უარს მონაწილეობაზე, ის აღარ დაიშვება მომავალი წლის ჩემპიონატზე.

10.4. მონაწილე გუნდები:

- | | |
|-------------------|-------------|
| 1. ქუთაისი | 8. ზაზა2 |
| 2. რუსთავი | 9. გორი |
| 3. სოხუმი | 10. ჰიუნდაი |
| 4. აჭარის ნაკრები | 11. დინამო |
| 5. არმია | 12. ორბი |
| 6. ზაზა1 | 13. იბერი |
| 7. აკადემია | |

10.5. შეჯიბრება ჩატარდება ორ ეტაპად.

პირველი ეტაპი:

ჩემპიონატის მონწილე ყველა (13) გუნდი იქნება ერთ ქვეჯგუფში და ითამაშებენ ორ (2) წრედ მიმოსვლით.

მეორე ეტაპი:

ქვეჯგუფში 8 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი ითამაშებენ მეოთხედფინალს

ქვეჯგუფში 9, 10, 11, 12, 13 ადგილებზე გასული გუნდები ჩემპიონატში დაიკავენ შესაბამის ადგილს

1/4 ფინალი

მეოთხედფინალში გუნდები დაწვეილებიან შემდეგნაირად:

I წვეილი 1 ადგილი – 8 ადგილი

II წვეილი 2 ადგილი – 7 ადგილი

III წვეილი 3 ადგილი – 6 ადგილი

IV წვეილი 4 ადგილი – 5 ადგილი

მატჩების ჩატარების წესი:

მეოთხედფინალს გუნდები თამაშობენ პლეი ოფის სისტემით ორ მოგებად. პირველი მატჩი გაიმართება წვეილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე, მეორე მატჩი – წვეილში მეორედ მითითებულ გუნდის მოედანზე, მესამე მატჩი (თუ საჭირო გახდა) გუნდში პირველად მითითებულ გუნდის მოედანზე.

წვეილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-4 ადგილებს, დამარცხებული გუნდები 5-8 ადგილებს.

1/2 ფინალი

გუნდები მეოთხედფინალური თამაშების შემდეგ დაწვეილებიან შემდეგნაირად:

I წვეილი: პირველ წვეილში და მეოთხე წვეილში გამარჯვებული გუნდები.

II წვეილი: მეორე და მესამე წვეილში გამარჯვებული გუნდები.

III წვეილი: პირველ და მეოთხე წვეილში დამარცხებული გუნდები

IV წვეილი: მეორე და მესამე წვეილში დამარცხებული გუნდები.

1-4, 2-3, 5-8, 6-7.

1-4 ადგილზე გასული გუნდები თამაშობენ პლეი ოფის სისტემით სამ მოგებად. პირველი ორი მატჩი გაიმართება წვეილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე, მესამე, მეოთხე (თუ საჭირო გახდა) მატჩი – წვეილში მეორედ მითითებულ გუნდის მოედანზე,

მეხუთე მატჩი (თუ საჭირო გახდა) წვეილში პირველად მითითებულ გუნდის მოედანზე.

5-8 ადგილებზე დაწვეილებული გუნდები თამაშობენ პლეი ოფის სისტემით ერთ მოგებად.

ფინალი:

წვეილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-2 და 5-6 ადგილებს.

დამარცხებული გუნდები გაითამაშებენ 3-4 და 7-8 ადგილებს. გუნდები 1-2 ადგილისათვის თამაშობენ პლეი ოფის სისტემით სამ მოგებად, მე-3, მე-5 და მე-7 ადგილებისთვის – ერთ მოგებად.

თავი VI

სადისციპლინო დარღვევები და სასჯელები

მუხლი 11. დისციპლინარული დარღვევები და სასჯელები

დისციპლინარული სასჯელის ზომას დებულებით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს “სადისციპლინო ტექნიკური კომისია”

გუნდის წარმომადგენლებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, სამედიცინო პერსონალს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და მატჩის დამთავრების შემდეგ. წესების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელები:

11.1. სიტყვიერი შეურაცხყოფა მოთამაშის მხრიდან:

11.1.1. მსაჯების, კომისრის, მსაჯების მაგიდასთან, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ,

სიტყვით ან ჟესტით – დისკვალიფიკაცია 2(ორი) ან მეტი თამაშით.

11.1.2. სეზონის განმავლობაში განმეორებითი დარღვევისათვის – დისკვალიფიკაცია 4(ოთხი) ან მეტი თამაშით.

11.1.3. სეზონის განმავლობაში მესამე დარღვევისათვის – დისკვალიფიკაცია ჩემპიონატის ბოლომდე.

11.1.4. თუ ზემოაღნიშნულ მუხლებში მოყვანილი დანაშაულებები ჩადენილი იქნება მწვრთნელის, მწვრთნელის თანაშემწის ან გუნდის სხვა ოფიციალური პირის მიერ, იგი დისკვალიფიცირებული იქნება ორი თამაშით, განმეორების შემთხვევაში – 4(ოთხი) თამაშით, მესამე დარღვევისათვის დისკვალიფიკაცია ჩემპიონატის ბოლომდე.

11.2. ფიზიკური შეურაცხყოფა თუ ძალადობის აქტი ჩადენილია მოთამაშის მიერ:

11.2.1. მსაჯების, კომისრის, მაგიდასთან მსაჯების მიმართ – დისკვალიფიკაცია – ხუთი ან მეტი თამაშით.

11.2.2. მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ – 3(სამი) ან მეტი თამაშით.

11.2.3. განმეორების შემთხვევაში სასჯელი ორმაგდება.

11.2.4. თუ ზემოაღნიშნულ მუხლებში მითითებული დანაშაულებანი ჩადენილი იქნება მწვრთნელის ან გუნდის სხვა ოფიციალური პირის მიერ, იგი დისკვალიფიცირებული იქნება 5(ხუთი) თამაშით და დაჯარიმდება 100(ასი)ლარით.

11.2.5. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში სასჯელი ორმაგდება.

- 11.3. იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი არ გამოცხადდება თამაშზე ან უარს იტყვის ჩემპიონატში შემდგომ მონაწილეობაზე, ან უარს იტყვის თამაშის გაგრძელებაზე, პირველ შემთხვევაში გუნდს ჩაეთვლება წაგება „თამაშის უფლების ჩამორთმევით“ და დაჯარიმდება 400 ლარით. განმეორებით შემთხვევაში გუნდი იხსნება ჩემპიონატიდან, არ დაიშვება მომავალი წლის ჩემპიონატზე და დაეკისრება ჯარიმა 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.
- 11.4. თამაშში ულიცენზიო მოთამაშის მონაწილეობისათვის გუნდს ჩაეთვლება წაგება „თამაშის უფლების ჩამორთმევით“ ანგარიშით 0:20 და დაეწერება 0 ქულა.
- 11.5. თუ მოედნიდან ან სათადარიგო სკამიდან გაძევებული მოთამაშე, მწვრთნელი ან სხვა ოფიციალური პირი მსაჯის მოთხოვნიდან 2 წუთის განმავლობაში არ დატოვებს მოედანს ან გუნდის სკამის ზონას, თამაში შეწყდება, გუნდს ჩაეთვლება წაგება „თამაშის უფლების ჩამორთმევით“ ანგარიშით 0:20 და დაეწერება 0 ქულა.
- 11.6. თუ პიროვნება რომელზეც უნდა გაერცვლდეს ზემოთმოყვანილი სანქციები წარმოდგენილია ს.კ.ე.ფ.-ის სხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში, სუპერლიგაში, მასზე ვრცელდება 2(ორი) თამაშიანი დისკვალიფიკაცია იმ ჩემპიონატში სადაც არის წარმოდგენილი, ხოლო თუ დისკვალიფიკაციის ვადა აღემატება სეზონის ბოლომდე გათვალისწინებულ კალენდარული თამაშების რაოდენობას, დარჩენილი სასჯელი გადადის მომდევნო სეზონში.
- 11.7. თუ გუნდის შემადგენლობაში 8-ზე ნაკლები მოთამაშეა ის ჯარიმდება 20(ოცი) ლარით თითოეულ დაკლებულ მოთამაშეზე.
- 11.8. თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ გამოვლინდა ასაკობრივი დარღვევის ფაქტი, მოთამაშე დისკვალიფიცირებული იქნება ერთი წლით, გუნდს ჩაეთვლება წაგება იმ თამაშებში, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ამ მოთამაშემ, ხოლო მწვრთნელს ორი წლით აეკრძალება გუნდის ხელმძღვანელობა „ს.კ.ე.ფ.“-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში.
- 11.9. თუ მოთამაშე გაძევებულია მოედნიდან მსაჯთან შეკამათების გამო ის უნდა იქნეს დისკვალიფიცირებული მინიმუმ 1(ერთი) თამაშით.
- 11.10. თამაშამდე, თამაშის დროს ან თამაშის დამთავრების შემდეგ მომხდარი უდისციპლინობის შემთხვევაში დამნაშავე გუნდის, მწვრთნელის, მოთამაშის ან სხვა ოფიციალური პირის მიმართ საკითხს განიხილავს სადისციპლინო ტექნიკური კომისია. საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს სანქციის გამოტანის მატრიდან მომდევნო მატჩამდე პერიოდში. არ გადახდის შემთხვევაში სასჯელია მომდევნო მატჩებზე არ დაშვება.
- 11.11. განსაკუთრებულ შემთხვევაში ს.კ.ე.ფ.-ს სადისციპლინო კომიტეტს უფლება აქვს გაზარდოს სასჯელები დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.
- 11.12. დისციპლინური დარღვევის შემთხვევები და მათ გამო გასატარებელი სასჯელები, რომლებიც არ არის მოყვანილი 11-ე მუხლში, განიხილება ს.კ.ე.ფ.-ს გამგეობის მიერ.

თავი VII

ფედერაციის და გუნდების ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას

მუხლი 12. ფედერაციის ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას

“ს.კ.ე.ფ” წევს ხარჯებს:

მსაჯების, კომისრის და მსაჯმდივანთა ბრიგადის მგზავრობის და თამაშის მომსახურების ხარჯებს.

მუხლი 13. გუნდის ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას

13.1. ჩემპიონატის თამაშებზე სხვა ქალაქში მივლინების ხარჯებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

13.2. მსაჯების და კომისრის სასტუმროში მიღება 3-ჯერადი კვებით.

თავი VIII პროტესტი

მუხლი 14. პროტესტის შეტანის წესი

14.1. პროტესტი “ს.კ.ე.ფ.”-ში შედის წერილობითი ფორმით და „კალათბურთის ოფიციალურ წესებში“ ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.

14.2. პროტესტის შემომტანი გუნდი იხდის წინასწარ თანხას 100 (ასი) ლარის ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

14.3. გუნდის პროტესტის განხილვის პირველ ინსტანციას წარმოადგენს “ს.კ.ე.ფ.”-ს საშეჯიბრო დეპარტამენტი..

14.4. თუ გუნდი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს “ს.კ.ე.ფ.”-ს გამგეობა. ამ შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხის რაოდენობა იზრდება 200 (ორასი) ლარამდე. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

თავი IX დაჯილდოება

მუხლი 15. გუნდების მოთამაშეების, მწვრთნელების და თანმხლები პირების დაჯილდოება

15.1. გუნდი, რომელიც ჩემპიონატში დაიკავებს პირველ ადგილს, ენიჭება საქართველოს 2016-2017წლის 16-წლამდელებთა ჩემპიონის წოდება.

15.2. გუნდის მოთამაშეები, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე და ექიმი ჯილდოვდებიან ჩემპიონის ოქროს მედლებით, არაუმეტეს 18 კაცისა.

15.3. გუნდების მოთამაშეები, მწვრთნელები, მწვრთნელის თანაშემწეები და ექიმები ჯილდოვდებიან ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით, არაუმეტეს 18 კაცისა თითოეული გუნდიდან.



ცვლილება 2015-2016 წლის სეზონის 16-წლამდელთა ჩემპიონატის დებულებაში

დებულების V-ე თავის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

1/4 ფინალი

მატჩების ჩატარების წესი:

მატჩების ჩატარების წესი: მეოთხედფინალს გუნდები თამაშობენ პლეი ოფის სისტემით ერთ მოგებად. წყვილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-4 ადგილებს, დამარცხებული გუნდები 5-8 ადგილებს.

1/2 ფინალი

1-4 ადგილზე გასული გუნდები თამაშობენ პლეი ოფის სისტემით ორ მოგებად. პირველი მატჩი გაიმართება წყვილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე, მეორე მატჩი – წყვილში მეორედ მითითებულ გუნდის მოედანზე, მესამე მატჩი (თუ საჭირო გახდა) გუნდში პირველად მითითებულ გუნდის მოედანზე.

ფინალი:

წყვილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-2 ადგილებს. დამარცხებული გუნდები გაითამაშებენ 3-4 ადგილებს. გუნდები 1-2 ადგილისათვის თამაშობენ პლეი ოფის სისტემით ორ მოგებად, მე-3, მე-5 და მე-7 ადგილებისთვის – ერთ მოგებად.



ცვლილება 2016-2017 წლის სეზონის 16-წლამდელთა ჩემპიონატის დებულებაში

დებულების V-ე თავის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

1/4 ფინალი

მატჩების ჩატარების წესი:

მატჩების ჩატარების წესი: მეოთხედფინალს გუნდები თამაშობენ პლეი ოფის სისტემით ერთ მოგებად. წყვილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-4 ადგილებს, დამარცხებული გუნდები 5-8 ადგილებს.

1/2 ფინალი

1-4 ადგილზე გასული გუნდები თამაშობენ პლეი ოფის სისტემით ორ მოგებად. პირველი მატჩი გაიმართება წყვილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე, მეორე მატჩი – წყვილში მეორედ მითითებულ გუნდის მოედანზე, მესამე მატჩი (თუ საჭირო გახდა) გუნდში პირველად მითითებულ გუნდის მოედანზე. დამარცხებული გუნდები 5-8 ადგილებისთვის ითამაშებენ ერთ მოგებად.

ფინალი:

წყვილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-2 ადგილებს. დამარცხებული გუნდები გაითამაშებენ 3-4 ადგილებს. გუნდები 1-2 ადგილისათვის თამაშობენ პლეი ოფის სისტემით ორ მოგებად, მე-3, მე-5 და მე-7 ადგილებისთვის – ერთ მოგებად.